ხელშეკრულება №93
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. წყალტუბო 1 ივნისი 2017 წელი

ერთი მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი გამგებლის კონსტანტინე მამისეიშვილი სახით და მეორე მხრივ, ინდ. მეწარმე „მაია ქუთათელაძე" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მაია ქუთათელაძის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონელი მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებისათვის სახატავი მოწყობილობების (სახატავი ფურცლები და ფერადი ფანქრები) შესყიდვა (დანართის შესაბამისად);

2.2. კლასიფიკატორის კოდი: CPV**37820000**.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 180 (ასოთხმოცი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. მიღება-ჩაბარება, ანგარიშსწორების ფორმა

4.1. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიღება-ჩაბარების აქტზე "შემსყიდველის" მხრიდან ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურს.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მახარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, შემსყიდველის მიერ მისი ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

5. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მოსახურების მიწოდება განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა №25.

5.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 1 ივნისის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით.

7.2. ხელშეკრულების პირობების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

7.3. საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების **0,02%**-ის ოდენობით.

7.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევეაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში;

7.5. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
მის: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.№25
ს/ს „ლიბერთი ბანკის" წყალტუბოს ფილიალი
ბ/კოდი: LBRTGE22
ა/ა №GE25LB0120123490525000
ს/კოდი: 221274546

მიმწოდებელი:

ინდ. მეწარმე „მაია ქუთათელაძე"
მის: ქ.წყალტუბო, დედაენის ქუჩა №9
ს/ს "საქართველოს ბანკი"
ბ/კოდი: BAGAGE22
ა/ა №GE18BG0000000182754500
ს/კოდი: 53001021725

მუნიციპალიტეტის გამგებელი

კონსტანტინე მამისეიშვილი

ბ. ა.

ინდ. მეწარმე

მაია ქუთათელაძე

ბ. ა.

№	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება(ლარი)	საერთო ღირებულება(ლარი)
1	ფერადი ფანქრები	25	6	150
2	სახატავი ფურცლები	50	0.6	30
ჯამი:				180

ინდ. მეწარმე „მაია ქუთათელაძე“

ხელმოწერა : _____